სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 28

ქ. ახალციხე 7 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ ,,ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" **არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის** (ქ.ახალციხე, შ. ახალციხელის ქ#2) დირექტორის **ნანა ბერიძის** სახით შემდგომში წოდებული როგორც ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ **ი/მ შორენა ენდელაძის (მისამართი: ახალციხე, ვ.გორგასალის ქ. #25)** სახით შემდგომში ,,მიმწოდებელი" ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-1 პუნქტის ,,ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

,,ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების მადეზინფიცირებელი საშუალებით ,,დეზოტეკი მედი" უზრუნველყოფა CPV კოდი 24455000 ღირებულებით 480 (ოთხასოთხმოცი) ლარი (შემდგომში ,,ხელშეკრულების ფასი").

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ-ხელშეკრულება)- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება – საერთო თანხა, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია(შემდგომ-შემსყიდველი) - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 მიმწოდებელი- ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელიც აფორმებს (გააფორმა) შემსყიდველთან ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 მომსახურება - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ტექნიკური დოკუმენტაცია - მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

---

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველი - „ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ი/მ შორენა ენდელაძესთან (მიმწოდებელი) აფორმებს - „ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება" არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების მადეზინფიცირებელი საშუალებით „დეზოტეკი მედი" უზრუნველყოფა-მომარაგებაზე, შემდეგ თანხაზე: 480 (ოთხასოთხმოცი)ლარი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **480 (ოთხასოთხმოცი)ლარს** დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებისა.

3.4 შემსყიდველის მიერ საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ ფასებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

---------- ----------

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი მომსახურების ტარიფების მიხედვით, შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების ტარიფებით შესრულების მიმდინარეობის საკითხებს.

5.2 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის ობიექტი.

5.3 ხელშეკრულების დამდეგ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების ტარიფების ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია საქონლის მიწოდებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7.მოსამარაგებელი ობიექტის დასახელება და მისამართი

7.1 „ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ ა(ა)იპ-ს დაქვემდებარებაში მყოფი საბავშვო ბაგა-ბაღების მისამართები:

1. # 1 ბაგა ახალციხელის ქ.#5
2. # 1 ბაღი რუსთაველის ქ.#40
3. #1 ბაგა-ბაღი ვარძიის ჩიხი #4
4. #2 ბაგა-ბაღი თამარაშვილის ქ.#39
5. #3 ბაღი მიქუტიშვილის ქ.#10
6. #4 ბაგა-ბაღი იაძის ქ#10
7. #5 ბაგა-ბაღი ასპინძის ქ#47
8. #6 ბაგა-ბაღი ივერიელის ქ#52

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ **მიღება-ჩაბარების აქტის** გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს **მიღება-ჩაბარების** აქტს ამ ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების დასტურად და მომსახურების ტარიფების შესაბამისად.

8.2. მიღება-ჩაბარების **აქტში** (სულ ცოტა) მითითებული უნდა იყოს:

- შესყიდული საქონლის დასახელება;
- შესყიდული საქონლის ღირებულება;
- შესყიდული საქონლის რაოდენობა.

8.3. საქონლის მიწოდება დასრულებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

8.4. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის ინსპექტირების ჯგუფი.

---

9. ანგარიშსწორება

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

9.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება **ერთჯერადად,** საქონლის მიწოდების შემდგომ მიმდინარე თვის ბოლოს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა(ზედნადების) და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

9.3. მიღება-ჩაბარების **აქტის** ხელმოწერისათვის მიმწოდებელი წარმოადგენს მიწოდებული მომსახურების შესაბამისობის დოკუმენტს.

9.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგ ანგარიშზე:

სს „ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი -LIBRTGE22

ანგარიშსწორების ანგარიში-

GE39LB0112142423016000

ს/კ 03001000604

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობით შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის [illegible] მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

15.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი **ნაწილის 0.1** %-ს.

15.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

15.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

---

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება იდება ქართულ ენაზე.

20. შეტყობინება

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

22. საქონლის მიწოდების პირობები

22.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ. საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება შემსყიდველის ობიექტი.

22.2 საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ივნისისა.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 7 ივნისიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

24. წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს

24.1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

24.2 ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით. (დანართი).

24.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

24.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ამათგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი რჩება შემსყიდველს.

25. ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები და საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველის სახელით:	მიმწოდებლის სახელით:
,,ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"	ინდმეწარმე
	შორენა ენდელაძე
არასამეწარმეო(არაკომერციული)	მისამართი:
იურიდიული პირის	მისამართი: ახალციხე, ვ.გორგასალის ქ .№25
დირექტორი: ნანა ბერიძე	
ქ.ახალციხე, შ.ახალციხელის ქ№2	სს ,,ლიბერთი ბანკი"
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი -LIBRTGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ანგარიშსწორების ანგარიში-
ა/ა 740667509	GE39LB0112142423016000
ს/კ 424068564	ს/კ 03001000604

დანართი

#	შესყიდვის ობიექტი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო თანხა (ლარი)
1	მადეზიფიცირებელი საშუალება ,,დეზოტეკი მედი“	16	30	480